



თიბისი სტატუსი NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო-სთან და ტურისტულ კომპანია - **GEORGIA TRAVEL HOLDING-თან** ერთად თავგადასავლების მაძიებლებს ეგზოტიკურ და დაუვინყარ მოგზაურობას გთავაზობთ ტანზანია-ზანზიბარში.

10 დღიანი ტურის განმავლობაში National Geographic მეგზურთან ერთად მოინახულებთ ქალაქ არუშას, დაათვალიერებთ და ღამეს გაათევთ სერენგეტის ნაციონალურ პარკში, სადაც უამრავი ცხოველი და ფრინველი ბინადრობს; მასაის სოფელში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდებით და გაეცნობით ტანზანიის უკანასკნელი მომთაბარე ტომის კულტურასა და ტრადიციებს; ღამით დარჩებით ტანზანიაში - ნგორონგოროს ეროვნულ პარკში, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია; იმოგზაურებთ ვულკანურ მალღობებსა და ნგორონგოროს ცნობილი კრატერის მიდამოებში, სადაც შეხვდებით ისეთ იშვიათ ცხოველებს, როგორებიცაა: შავი მარტორქა, ჰიპოპოტამი, გნუ, ზებრა, კანა და ქურციკი; ღამეს გაათევთ ტრანგირეს ნაციონალურ პარკში ბაობაბების ძირში; გაემგზავრებით და დაისვენებთ სამოთხის კუნძულზე - ზანზიბარზე; ფეხით მოივლით მსოფლიო მემკვიდრეობის კიდევ ერთ ძეგლს - სტოუნ-თაუნს, სადაც მოინახულებთ საოცრებათა სახლს, ხალხის სასახლეს, ფრედი მერკურის სახლს, არაბთა ციხეს, ძველი მონების ბაზარსა და ფერად ბაზარს.

ტურის პერიოდი: 8.01.2020 - 18.01.2020

შეთავაზებაში შედის ფრენა კატარის ავიახაზებით, შიდა ფრენა (კილიმანჯარო-ზანზიბარი), საუზმე, ვახშამი და ღამისთევა 5 ვარსკვლავიან სასტუმროებში, National Geographic საქართველოს მეგზური, ექსკურსიების დროს მძღოლი-გიდი, საფარის ტურისტის სპეციალური მანქანები, გამაგრებული სასმელი და კვება, ნაკრძალებში შესასვლელი ბილეთები, ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.

ფრენის დეტალები:

| | |
|--------------------------|---------------------|
| თბილისი-დოჰა-კილიმანჯარო | 8 იანვ 21:25-23:30 |
| | 9 იანვ 08:00-14:10 |
| ზანზიბარი-დოჰა-თბილისი | 17 იანვ 17:15-23:25 |
| | 18 იანვ 07:15-11:30 |

დეტალური ინფორმაციისთვის, ან ტურის შესაძენად, გთხოვთ, მიმართოთ თიბისი სტატუს კონსიერჟს.

სტატუს კონსიერჟი

☎ 032 2 27 27 00
✉ concierge@tbcstatus.com.ge
🕒 10:00 - 22:00

